ოქმი N16

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 18 აგვისტო

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

3. „სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100% -იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №14 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ე. წურწუმია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ხდება ასახვა 419,3 ათასი ლარის, რომელიც მიიმართება პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებებზე. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 11974,1 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N27 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - გამომსვლელი დაინტერესდა გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულშიც განთავსდებოდა თუ არა სანაგვე ურნები.

მ. რუხაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურნები ყველა არ არის შემოტანილი, როგორც კი შემოვა ყველა ურნა შესაბამისად ყველა სოფელში განთავსდება.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ფართის გაიჯარებასთან დაკავშირებით მოსახლეობას პრეტენზიები გააჩნია და დაინტერესდა თუ რაში იყო საქმე.

მ. რუხაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ საპრეტენზიო არაფერი აქვთ, რადგანაც გამოცხადებულ აუქციონში არავის არ მიუღია მონაწილეობა და აუქციონი ჩაიშალა.

საკრებულოს წევრების მხრიდან სხვა სახის მოსაზრებები არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკურ განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში, „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის N118 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის N118 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება, შესაბამისად საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N28 ოქმს თან ერთვის)

3. „სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100% -იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №14 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100% -იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №14 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2017 წლის 29 ივნისს მიღებულ იქნა „სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ №14 დადგენილება. საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში,

საკრებულოს №14 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული N14 დადგენილების გაუქმება, რაზედაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №14 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N29 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, დროთა განმავლობაში არაერთგზის დაისვა საკითხი მუნიციპალიტეტის ცალკეულ დიდ

ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული მოსამსახურეების არასაკმარისობის შესახებ. მიმდინარე ეტაპისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მოსახლეობის რიცხოვნებისა და ადმინისტრაციული ერთეულის გეოგრაფიული განლაგების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებულ მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის გაზრდა ერთი ერთეულით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროექტის წარმომდგენმა (ზ. ბუკია) ბევრი იწვალა გაემართლებინა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საშტატო ერთეულის გაზრდა და აღნიშნა, რომ ის წარმოდგენილ პროექტს მხარს დაუჭერდა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ადგილზე არ იყო მოაზრებული საკრებულო თავმჯდომარის და მუნიციპალიტეტის გამგებლის ნათესავი და ამ დანიშვნით ნეპოტიზმს არ შეუწყობდნენ ხელს.

ე. ჯობავა - სხდომის თავჯდომარემ განაცხადა, რომ ეს რეპლიკა მას ვერ შეეხებოდა, რადგანაც საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ნათესავები არ ჰყავდა.

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა გამომსვლელის (თ. გულუა) შენიშვნას, რომ თითქოს მან იწვალა იმის გასამართლებლად, საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებულ მოსამსახურეთა რიცხოვნობა თუ რატომ იზრდებოდა, პირიქით მან არგუმენტი მოიყვანა, თუ რატომ იყო აუცილებელი შტატის დამატება. ხოლო რაც შეეხებოდა დასაქმებას, კანონის ყველა ნორმის დაცვით ჩატარდებოდა კონკურსი და ყველა მსურველს შეეძლება მონაწილეობის მიღება, რის შემდგომაც მოხდება კადრის შერჩევა კომისიის მიერ.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით, დროთა განმავლობაში არაერთგზის დაისვა საკითხი მუნიციპალიტეტის ცალკეულ დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული მოსამსახურეების არასაკმარისობის შესახებ. მიმდინარე ეტაპისთვის, ადგილობრივი

თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში განსახორციელებელი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მოსახლეობის რიცხოვნობისა და ადმინისტრაციული ერთეულის გეოგრაფიული განლაგების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებულ მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნების გაზრდა 1 ერთეულით. დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცვლილება არ იწვევს ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებით ცვლილების შეტანის აუცილებლობას, შესაბამის საბიუჯეტო მუხლში არსებული ასიგნებების მოცულობის გათვალისწინებით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 1 (თ. გულუა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N30 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. ტარიელ ალექსანდრია
6. ლევან ქავთარაძე
7. ნუგზარ შუშანია
8. ედიშერ წურწუმია
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. თემურ გულუა
12. ვასილ კუკავა
13. ქეთევან ოდიშარია
14. მალხაზ ყურუა
15. კახა მიქაბერიძე
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გენადი ზარანდია
22. დიანა გულუა
23. კახა ლატარია
24. ლეონიდე ლოლუა
25. მერაბ ნადარაია
26. გიორგი ხურცილავა
27. გენადი ქაძანაია